ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№–73

ქ. თბილისი; 15 დეკემბერი 2020 წ. 13:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
თინათინ ნიბლოშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ავთანდილ ცინცაძე
ნინო რუხაძე

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი – **გელა ჩივიაშვილი**

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

<u>დღის წესრიგი</u>

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგი დეპუტატების უფლებამოსილებების შეწყვეტის საკითხი;
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
3. ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარისა და მოადგილის არჩევის ცნობის სახით მიღების საკითხი.
4. თბილისში, დ. გურამიშვილის გამზ. N64 (ს/კ01.12.01.005.040)არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ამხ. ,,ღრმაღელეს“ (ს/ნ 100189911)მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
5. ქ. თბილისში, იასამნის ქ. N4 (ს/კN01.10.11.001.116)არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „დაკიდებული ბაღების“ (ს/კ 212272869) და შპს ,,გელოვანის“ (ს/კ 405411157) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის **უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყეტასთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული სამართლებრივი პროცედურების დაცვისა და უზრუნველყოფის მიზნით,** კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი წევრების უფლებამოსილებების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კომისიის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს წარუდგინა განცხადებები, რომლებიც, რეგლამენტით გათვალისწინებული სამართლებრივი პროცედურების დაცვის მიზნით, ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის რეზოლუციით, დაეწერა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისისიას, ასევე, მიაწოდა მათ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- მ/წლის 14 დეკემბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს№02-032034943-03 წერილით წარმოედგინა საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 11 დეკემბრის N3-1ს დადგენილება, რომლის მიხედვითაც საქართველოს პარლამენტის მიერ ცნობილ იქნა ირაკლი ზარქუას, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება. **აღნიშნული ფაქტის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს 2020 წლის 11 დეკემბერს №03-032034668 წერილით თავად აცნობა ირაკლი ზარქუამ და ითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მისი, როგორც საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა.**
- მ/წლის 14 დეკემბერს ქალაქ თბილისის საკრებულოს №02-032034943-03წერილით წარმოედგინა საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 11 დეკემბრის N3-1სდადგენილება, რომლის მიხედვითაც საქართველოს პარლამენტის მიერ ცნობილ იქნა თამარ ტალიაშვილის, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება. აღნიშნული ფაქტის თაობაზე, **ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს 2020 წლის 11 დეკემბერს №03-032034665 წერილით თავად აცნობა თამარ ტალიაშვილმა და ითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მისი, როგორც საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა.**
- მ/წლის 14 დეკემბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №02-032034943-03 წერილით წარმოედგინა საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 11 დეკემბრის N3-1ს დადგენილება, რომლის მიხედვითაც საქართველოს პარლამენტის მიერ ცნობილი ქნა ბექა დავითულიანის, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება. **აღნიშნული ფაქტის თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს 2020 წლის 11 დეკემბერს №03-032034664 წერილით თავად აცნობა ბექა დავითულიანმა და ითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მისი, როგორც საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა.**

- მ/წლის 14 დეკემბერს ქალაქ თბილისის საკრებულოს №02-032034943-03 წერილით წარმოედგინა საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 11 დეკემბრის N3-1ს დადგენილება, რომლის მიხედვითაც საქართველოს პარლამენტის მიერ ცნობილ იქნა

ნინო ლაცაბიძის, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება. აღნიშნული ფაქტის თაობაზე **ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს** 2020 წლის 11 დეკემბერს №03-032034663 წერილით **თავად აცნობა ნინო ლაცაბიძემ და ითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მისი, როგორც საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა.**

- მ/წლის 14 დეკემბერს ქალაქ თბილისის საკრებულოს №02-032034943-03 წერილით წარმოედგინა საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 11 დეკემბრის N3-1ს დადგენილება, რომლის მიხედვითაც საქართველოს პარლამენტის მიერ ცნობილ იქნა რამინა ბერაძის, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება. აღნიშნული ფაქტის თაობაზე ქალაქ **თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს** 2020 წლის 11 დეკემბერს №03-032034662 წერილით **თავად აცნობა რამინა ბერაძემ და ითხოვა ქალაქ თბილისის საკრებულოს** მიერ მისი, **როგორც საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა.**

- მ/წლის 14 დეკემბერს ქალაქ თბილისის საკრებულოს №02-032034943-03 წერილით წარმოედგინა საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 11 დეკემბრის N3-1ს დადგენილება, რომლის მიხედვითაც საქართველოს პარლამენტის მიერ ცნობილ იქნა ლევან ხაბეიშვილის, როგორც პარლამენტის წევრის უფლებამოსილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიუთითა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 43–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საკითხზე და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ დაიკავა ამ კანონის 42–ე მუხლით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა.

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 42–ე მუხლის „ა“ პუნქტის ჩანაწერი, რაც ადგენს, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლება არ აქვს იყოს სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი. ასევე დასძინა, ამავე ორგანული კანონის 24–ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.გ. ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებაა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

ლევან ჟორჟოლიანმა აგრეთვე ისაუბრა, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაზე, აღნიშნა, შემდეგი:

- თუ საკრებულოს წევრი/თანამდებობის პირი ზედიზედ 6 თვის განმავლობაში არ მონაწილეობს საკრებულოს მუშაობაში ან არღვევს კანონით განსაზღვრულ თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნებს, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და

ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია არკვევს გაცდენის მიზეზს ან/და დაუყოვნებლივ ამოწმებს/გამოითხოვს ინფორმაციას თანამდებობრივი შეუთავსებლობის ფაქტის დასადგენად. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია შეუთავსებლობის საკითხზე დასკვნას უახლოეს სხდომაზე წარუდგენს საკრებულოს. თუ დადასტურდა, რომ გაცდენის მიზეზი არასაპატიოა ან საკრებულოს წევრი/თანამდებობის *პირი არღვევს თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნებს საკრებულო იღებს გადაწყვეტილებას საკრებულოს წევრისთვის/თანამდებობის პირისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.*

ლევან ჟორჟოლიანმა კომისიის წევრებს მიმართა წინადადებით, განხილულ იქნას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგი წევრების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი, გარდა ლევან ხაბეიშვილის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხისა, ვინაიდან ქ.თბილისის საკრებულოს აცნობა ლევან ხაბეიშვილმა და მიაწოდა ინფორმაცია, რომ მიმართა საქართველოს პარლამენტს უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებით. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი ითვალისწინებს, შესაბამის სამართლებრივ პროცედურებს, კერძოდ, რეგლამენტის მე–6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს დადგენილებით წყვეტს პარლამენტი, ლევან ხაბეიშვილისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის მიზნით თანამდებობრივი შეუთავსებლობის საფუძვლით დაწყებული წარმოება, რასაც საფუძვლად დაედო მისი, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობა, უნდა შეჩერდეს საქართველოს პარლამენტის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა იმსჯელეს და ერთხმად გადაწყვიტეს, რომ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპლიტეტის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურის წესი დაცულია და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უახლოეს სხდომაზე უნდა იმსჯელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემდეგი წევრების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის თაობაზე:

- ირაკლი ზარქუა, თამარ თალიაშვილი, ბექა დავითულიანი, ნინო ლაცაბიძე და რამინა ბერაძე;

მოისმინეს:

2. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა, კომისიის სხდომაზე დასმწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მ/წლის 14 დეკემბერს, ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს **№03-0320349119** განცხადებით მიმართა საკრებულოს წევრმა თინათინ ნიბლოშვილმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიიდან გასვლისა და განათლების და კულტურის კომისიის შემადგენლობაში შესვლის სურვილთან დაკავშირებით, ხოლო, **№03-0320349120** განცხადებით – საკრებულოს წევრმა მიხეილ ამაშუკელმა, სატრანსპორტო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დატოვებისა და სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის შემადგენლობაში შესვლის სურვილთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საკითხზე და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას, მისთვის ამავე ორგანული კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების გარდა ასევე განეკუთვნება, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის შექმნა, კომისიის თავმდჯომარის არჩევა და თანამდებობიდან გადაყენება, ასევე კომისიის პერსონალური შემადგენლობისა და დებულების დამტკიცებიდა და მათში ცვლილების შეტანა.

კომისიის თავმჯდომარემ მიუთითა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61–ე მუხლის მე–2 პუნქტით განსაზღვრულ ჩანაწერზე, რომლის მიხედვითაც, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინიდივიდუალურ ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება. ამასთან, დასძინა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამომცემ ორგანოს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ, მომზადებულ იქნება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც დანართის სახით დაერთვება კომისიის მიერ მომზადებულ დასკვნას.

მომხსენებელმა ასევე დასძინა, რომ განკარგულების პროექტის მიღება გამოიწვევს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 დეკემბრის №391 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა იმსჯელეს და ერთხმად (მონაწილეობა არ მიუღია თინათინ ნიბლოშვილს) დაუჭირეს მხარი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის

დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, საკრებულოს მიერ განხილულ იქნას უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს:

3. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის **კომისიის თავმჯდომარემ, ლევან ჟორჟოლიანმა,** კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის თანამდებობაზე ოთარ გრიგოლიასა და მოადგილის თანამდებობაზე ავთანდილ ცინცაძის არჩევის შესახებ საკითხი.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს შეახსენა ქალაქ თბილისის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული სამართლებრივი პროცედურები და ისაუბრა, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპლიტეტის საკრებულოს **რეგლამენტის 35–ე მუხლის პირველი, მე–2 და მე–3 პუნქტებით განსაზღვრულ საკითხებზე შემდეგი სახით:**

- ფრაქცია რეგისტრაციამდე თავისი შემადგენლობიდან ირჩევს ფრაქციის თავმჯდომარეს, რომელსაც, ჰყავს ერთი მოადგილე, ხოლო ფრაქციის ყოველ ცხრა წევრზე იგი უფლებამოსილია ჰყავდეს დამატებით ერთი მოადგილე.
- ფრაქციის რეგისტრაციისათვის, ფრაქციის შექმნიდან ერთი კვირის ვადაში ფრაქციის თავმჯდომარე მიმართავს საკრებულოს თავმჯდომარეს განცხადებით, რომელშიც მითითებულია ფრაქციის ოფიციალური სახელწოდება, მისი თავმჯდომარის, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის (მოადგილეების), მდივნის და წევრთა ვინაობა. განცხადებას ერთვის ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმა და ფრაქციის ყველა წევრის მიერ ხელმოწერილი წესდება.
- საკრებულოს თავმჯდომარე ფრაქციის რეგისტრაციისათვის შემოსულ მასალებს დაუყოვნებლივ გადასცემს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას, რომელიც თავის დასკვნას წარუდგენს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომაზე. თუ ბიურო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დასკვნის განხილვისას არ მიიღებს სხვა მოტივირებულ გადაწყვეტილებას, ფრაქცია რეგისტრაციაში გატარებულად ჩაითვლება საკრებულოს თავმჯდომარისათვის დოკუმენტაციის წარდგენის მომენტიდან.

კომისიის თავმჯომარემ ასევე ყურადღება გაამახილა, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპლიტეტის საკრებულოს **რეგლამენტის 37–ე მუხლის მე–4 პუნქტის ჩანაწერზე და აღნიშნა,** რომ **ფრაქციის თავმჯდომარის, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეების და მდივნის არჩევის,** გადაყენების, გადადგომის, აგრეთვე ფრაქციის სადამფუძნებლო დოკუმენტებში შესწორებათა შეტანის

შესახებ სამი დღის ვადაში წერილობით ეცნობება საკრებულოს თავმჯდომარესა და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ცნობის სახით მიიღო **ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავამჯდომარისა და მოადგილის არჩევის საკითხი.**

მოისმინეს:

4. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის **კომისიის თავმჯდომარემ, ლევან ჟორჟოლიანმა**, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ,,ქ. თბილისში, დ. გურამიშვილის გამზ. N64 (ს/კ01.12.01.005.040)არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ამხ. ,,ღრმაღელეს“ (ს/ნ 100189911)მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის **N59** დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების'' 35-ე მუხლით განსაზღვრული საკითხი, რაც **ადგენს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას განსაზღვროს დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის საჭირო დროებითი ღონისძიებები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.**

მომხსენებელმა თხრობის დასაწყისში აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე **დაუმთავრებელ მშენებლობებთან** დაკავშირებული **საკითხების** განმხილველ **კომისიას** განცხადებებით მიმართა ამხ. ,,ღრმაღელემ“, **მისამართზე - ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. 64 (ს/კ01.12.01.005.040)** არსებული **დაუმთავრებელი** მშენებლობის **დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების** გამოყენების **თხოვნასთან** დაკავშირებით, **თავის მხრივ, აღნიშნული კომისიის** მიერ, სხდომაზე განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად **გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

მისამართზე - ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. 64 (ს/კ01.12.01.005.040) მშენებლობის ნებართვა გაცემულია1.03.2007 წელს, ბრძ. №ნ/148; ამასთან, კ1=0.8; -კ2=4.3; ხოლო, **კ3=0.1;**

რამდენადაც შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების მიმართ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე და დაინტერესებული პირის განცხადებით დაუსრულებელი მშენებლობის დაზარალებულთა იდენტიფიცირებისთვის შესაბამისი დოკუმენტაცია ინახება ქალაქ თბილისის პროკურატურაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართვის საფუძველზე ქალაქ თბილისის პროკურატურის 2020 წლის 16 ოქტომბრის წერილით (№13/01-59537) წარმოდგენილია შემდეგი:

ა) პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეზე N010221012001 მიმდინარე გამოძიების ფარგლებში მოპოვებული დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების საფუძველზე არსებული შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან დაკავშირებული კომპანიების კლიენტთა სიები ობიექტების მიხედვით 2010 წლის მდგომარეობით;

ბ) კომპანია „ცენტრ პოინტის“ მიერ გამოძიებისათვის მიწოდებული ინფორმაცია ცხრილების სახით, სადაც ასახულია კლიენტთა სიები ამჟამინდელი მდგომარეობით. ქალაქ თბილისის პროკურატურა წერილში განმარტავს, რომ ინფორმაცია გადამოწმებულია შესაბამისი სამუშაო ჯგუფის მიერ. თუმცა, მათი სიზუსტე არ არის დადგენილი შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებებითა და მათი კომპლექსური ანალიზის საფუძველზე.

კომისიის თავმჯომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის **პროკურატურის მიერ წარმოდგენილი, ამჟამინდელი მდგომარეობით კლიენტთა სიის მიხედვით, ფართის სახით დასაკმაყოფილებელია 178 პირი (გადასაცემი ფართების ჯამური ოდენობა - 12933.38 კვ.მ) და განაგრძო თხრობა, ზემოაღნიშნული კომისიის მიერ, გამოვლენილ გარემოებებთან დაკავშირებით:**

- შპს ,,არქი გურამიშვილსა“ და ამხანაგობა ,,ღრმაღელეს“ შორის შორის 2020 წლის 12 ნოემბერს გაფორმებული შეთანხმების დანართის მიხედვით, ფართის სახით დასაკმაყოფილებელია 178 პირი (გადასაცემი ფართების ჯამური ოდენობა - 12933.38 კვ.მ). ამასთან, შეთანხმების 5.1.5 პუნქტის მიხედვით, ამ შეთანხმებით განსაზღვრული უფლებების მიღების სანაცვლოდ კომპანია (შპს ,,არქი გურამიშვილი“) ვალდებულია ამხანაგობას გადასცეს ფართი 14 000 კვ.მ-ის ოდენობით, საიდანაც: **12933.38 კვ.მ განსაზღვრულია ამჟამინდელი მდგომარეობით კლიენტთა სიით განსაზღვრული პირების ფართით დაკმაყოფილებისთვის; 1066.62 კვ. მ გადაეცემა უშუალოდ ამხანაგობა ,,ღრმაღელეს“;**
- **გარდა ამჟამინდელი მდგომარეობით კლიენტთა სიისა (გადასაცემი ფართების ჯამური ოდენობა - 12933.38 კვ.მ), დაინტერესებულ პირს წარმოდგენილი აქვს ამხანაგობა ,,ღრმაღელეს“, შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების შემდეგი ფინანსური ვალდებულებები:**

- ა) ამხანაგობის წევრის - **მაია რჩეულიშვილის ვალდებულება - 98 000 ლარი,** რომლის შესახებაც წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტაცია;
- გ) შპს **,,ბაკოს" წინაშე არსებული ფინანსური ვალდებულება - 17 000 აშშ დოლარის ოდენობით,** რომლის შესახებაც წარმოდგენილია შესაბამისის ხელშეკრულება.
- გ) კერძო პირის - **ანდრია ავალიანის მიმართ არსებული ფინანსური ვალდებულება,** რომლის შესახებაც წარმოდგენილია შესაბამისი ხელშეკრულება.

ლევან ჟორჟოლიანმა ჩამოთვალა, დაინტერესებული პირის - ამხ. ,,ღრმაღელე" მიერ დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის მოთხოვნილი ხელშემწყობი ღონისძიებები:

ა) არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემა წარმოდგენილი ესკიზური გადაწყვეტისა და სართულის გეგმის შესაბამისად; მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადმეტება - კ-2 – 10.1;

ბ)კ-2 კოეფიციენტის და ავტოსადგომების რაოდენობის (მოითხოვებოდა მხოლოდ საცხოვრებელ ზონებში) გაანგარიშებას ,,ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წესების" შესაბამისად;

გ)არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების და მიჯნის ზონის დაუცველად; სართულიანობის გაზრდას 30-33 სართულამდე; არსებულ მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით შესაბამისი დოკუმენტაციისა და გამწვანების პროექტის წარმოდგენის, ასევე, საკომპენსაციო ღონისძიებების ვალდებულებისგან გათავისუფლებას; პროექტის შეთანხმებას არსებულ საკვლევ საგზაო ინფრასტრუქტურაზე სატრანსპორტო გადაწყვეტის ზეგავლენის შეფასების გარეშე;

დ) ხელშემწყობი ღონისძიებების საკომპენსაციოდ, „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების ნაწილობრივი გათვალისწინებას, განცხადებაში წარმოდგენილი განმარტების შესაბამისად.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ე.წ. ცენტრპოინტის საქმეში დაზარალებულია უამრავი პირი, რომელთაც წლების განმავლობაში არ მიეცათ საშუალება მათთვის განკუთვნილი ფართები გადაცემოდათ საკუთრებაში. აღნიშნული პრობლემის მოგვარების მცდელობა, სხვადასხვა უწყებების, ორგანოებისა და დეველოპერების ჩართულობითაც მიმდინარეობდა, თუმცა ამ ეტაპისათვის ვერ მოხერხდა დაზარალებული პირებისათვის სასურველი შედეგის დადგომა. აღნიშნულ საქმეში, მათ შორის გამოიკვეთა, რომ შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფს" და მასთან აფელირებულ კომპანიებს, გარდა ფართების სახით გადასაცემი ვალდებულებებისა, აქვთ სხვა ფინანსური ვალდებულებებიც (რომლებზეც გარკვეულწილად აქვთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია), რასთან დაკავშირებითაც აღნიშნავენ, რომ თუ ვერ

მოხდება ამ ვალდებულებების გასტუმრებაც, მათი მხრიდან ამ პრობლემის მოგვარებაში მონაწილეობას ვერ ექნება არსებითი მნიშვნელობა.

ამასთან, ლევან ჟორჟოლიანმა შემაჯამებელი სახით მიუთითა, რომ **რომ ე.წ. ცენტრპოინტის საქმეში დაზარალებულია უამრავი კეთილსინდისიერი პირის არსებობისა და ამ პრობლემის გადაწყვეტის ძალიან მაღალი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, კომისიამ დადებითი რეკომენდაცია გაუწია ქალაქ თბილისის მთავრობას,** მისამართზე - ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. N64 (ს/კ N01.12.01.005.040) არსებული სამშენებლო ობიექტის მიმართ გამოყენებულ იქნეს დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებები, თავის, მხრივ, **თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება, ხოლო საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანმებლად წარმოდგენა:**

- ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) **განისაზღვროს 10.1-ით;**
- **ბ)** შეთანხმდეს არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ესკიზური გადაწყვეტისა და სართულის გეგმის შესაბამისად, სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების და მიჯნის ზონის დაუცველად;
- **გ)** მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) და ავტოსადგომების რაოდენობის გაანგარიშება მოხდეს ,,ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს **N8-13** გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წესების" შესაბამისად;
- **დ)** არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს საგზაო ინფრასტრუქტურაზე სატრანსპორტო გადაწყვეტის ზეგავლენის შეფასების გარეშე;
- **ე)** არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს არსებულ მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით შესაბამისი დოკუმენტაციისა და გამწვანების პროექტის წარმოდგენის, ასევე, საკომპენსაციო ღონისძიებების ვალდებულებისგან გათავისუფლებით;
- **ვ)** განმცხადებლის სურვილის გათვალისწინებით, ასევე მისაღები პრეფერენციების საკომპენსაციოდ, არქიტექტურული პროექტი დამუშავდეს „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის **№41** დადგენილების გათვალისწინებით, გარდა განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნებისა, მათ შორის საცხოვრებელ ბინებში ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობისა და ავტოსადგომების ზომებთან დაკავშირებული მოთხოვნებისა;
- **ზ)** დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2020 წლის 4 დეკემბრის**N9 სხდომის ოქმში** აღნიშნული **ფინანსური ვალდებულებების შესრულება** მოხდეს **შპს** ,,არქი გურამიშვილი"-სა და **ამხანაგობა**

,,ღრმაღელე"-ს შორის 2020 წლის 12 ნოემბერს გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად, ამხანაგობა ,,ღრმაღელესთვის" გადასაცემი ფართის ოდენობის ფარგლებში;

- ქალაქ თბილისის პროკურატურის მიერ წარმოდგენილი, ამჟამინდელი მდგომარეობით კლიენტთა სიის, დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2020 წლის 4 დეკემბრის N9 სხდომის ოქმში აღნიშნული ფინანსური ვალდებულებების გარდა, სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში სხვა პირთა მიმართ ფართის ან ფულადი სახით გასაცემი ვალდებულებების დადასტურების შემთხვევაში, ვალდებულებები შესრულებულ იქნას ამხანაგობა ,,ღრმაღელეს" მიერ.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტთან დაკავშირებული შენიშვნის შესახებ და მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის მე–2 მუხლი გაიმართოს ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

მოისმინეს:

5. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის **კომისიის თავმჯდომარემ, ლევან ჟორჟოლიანმა,** კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ,,ქ. თბილისში, იასამნის ქ. N4 (ს/კN01.10.11.001.116)არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „დაკიდებული ბაღების" (ს/კ 212272869) და შპს ,,გელოვანის" (ს/კ 405411157) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების'' 35-ე მუხლით განსაზღვრული საკითხი, რაც **ადგენს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას განსაზღვროს დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის საჭირო დროებითი ღონისძიებები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.**

მომხსენებლის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე **დაუმთავრებელ მშენებლობებთან** დაკავშირებული საკითხების განმხილველ **კომისიას** **განცხადებებით მიმართეს შპს „დაკიდებული ბაღებმა"** და **შპს ,,გელოვანმა",** მისამართზე **- ქ. თბილისი, იასამნის ქ. N4** (ს/კ N01.10.11.001.116) **არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების** თხოვნასთან **დაკავშირებით,**

თავის მხრივ, კომისიის მიერ, წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:

- მისამართზე - ქ. თბილისი, იასამნის ქ. N4 (ს/კ N01.10.11.001.116) მშენებლობის ნებართვა გაცემულია 2008 წლის 11 მარტის №01/207 ბრძანებით, სადაც, კ1=0.8; კ2=4.0; ხოლო, კ3=0.3;
- რამდენადაც შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების მიმართ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე და დაინტერესებული პირის განცხადებით დაუსრულებელი მშენებლობის დაზარალებულთა იდენტიფიცირებისთვის შესაბამისი დოკუმენტაცია ინახება ქალაქ თბილისის პროკურატურაში, ქალაქ თბილისის მერიის მიმართვის საფუძველზე ქალაქ თბილისის პროკურატურის 2020 წლის 16 ოქტომბრის წერილით (№13/01-59537) წარმოდგენილია შემდეგი ინფორმაცია:
- ა) პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეზე N010221012001 მიმდინარე გამოძიების ფარგლებში მოპოვებული დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების საფუძველზე არსებული შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან დაკავშირებული კომპანიების კლიენტთა სიები ობიექტების მიხედვით 2010 წლის მდგომარეობით;
- ბ) კომპანია „ცენტრ პოინტის" მიერ გამოძიებისათვის მიწოდებული ინფორმაცია ცხრილების სახით, სადაც ასახულია კლიენტთა სიები ამჟამინდელი მდგომარეობით. ქალაქ თბილისის პროკურატურა წერილში განმარტავს, რომ ინფორმაცია გადამოწმებულია შესაბამისი სამუშაო ჯგუფის მიერ. თუმცა, მათი სიზუსტე არ არის დადგენილი შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებებითა და მათი კომპლექსური ანალიზის საფუძველზე;

კომისიის თავმჯომარემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის პროკურატურის მიერ წარმოდგენილი, ამჟამინდელი მდგომარეობით, კლიენტთა სიის მიხედვით, ფართის სახით დასაკმაყოფილებელია 112 პირი (გადასაცემი ფართების ჯამური ოდენობა - 8 872 კვ.მ), გარდა ზემოაღნიშნულისა, ქალაქ თბილისის პროკურატურის მიერ წარმოდგენილია შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების ფინანსური ვალდებულებები კერძო პირთა (სულ - 50 პირი) მიმართ (ჯამურად: 2 278 335.73 აშშ დოლარი, 144 313 ლარი და 128 000 ევრო);

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და ისაუბა შემდეგ მნიშვნელოვან გარემოებებზე:

- შპს ,,დაკიდებულ ბაღებსა" და შპს ,,გელოვანს" შორის 2020 წლის 29 ოქტომბერს **გაფორმებული მემორანდუმის** მიხედვით, ფართის სახით დასაკმაყოფილებელია 112 **პირი** (გადასაცემი ფართების ჯამური ოდენობა - 8 872 კვ.მ);
- დაინტერესებული პირები - შპს ,,დაკიდებული ბაღები" და შპს ,,გელოვანი" **წარმოდგენილი საპროექტო** წინადადების ფარგლებში ითვალისწინებენ **თბილისის**

პროკურატურის მიერ წარმოდგენილი, შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების (შპს ,,ინვესტი“) ფინანსურ ვალდებულებებს კერძო პირთა მიმართ და აკმაყოფილებენ მათგან ნაწილს - 22 პირს, რომლის მიმართ არსებული ფინანსური ვალდებულება ჯამურად შეადგენს - 1 600 000 აშშ დოლარს;

- ქალაქ თბილისის პროკურატურის მიერ 2020 წლის 16 ოქტომბრის წერილით (№13/01-59537) მოწოდებული ფინანსური ვალდებულებების გარდა, დაინტერესებულ პირებს წარმოდგენილი აქვთ შემდეგი ინფორმაცია:
- შპს ,,შაკო - 92“ -ის მიმართ არსებული ფინანსური ვალდებულება - 400 000 აშშ დოლარი, რომლის შესახებაც წარმოდგენილია შესაბამისი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტაცია, სადაც მოცემულია, კომპანიებს შორის, სამშენებლო მასალების მიწოდებისა და სამშენებლო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული საკითხები;
- შპს ,,დოკის“ მიმართ არსებული ფინანსური ვალდებულება - 280000 აშშ დოლარი, რომლის შესახებაც წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტაცია და მოიცავს, კომპანიის მეორ სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების მიწოდები საკითხს.
- შპს ,,დაკიდებულ ბაღებსა“ და შპს ,,გელოვანს“ შორის გაფორმებული მემორანდუმის მიხედვით, მემორანდუმის და ხელშეკრულების დანართებით გათვალისწინებულ პირებზე ფართების იდენტიფიცირება და საჯარო რეესტრში წარდგენა მოხდება ხელშეკრულების ხელმოწერასთან ერთად. შენობა-ნაგებობის ინდივიდუალურ საგნებად დაყოფის დოკუმენტში გამყიდველი, მყიდველი და მემორანდუმის და ხელშეკრულების დანართებში მითითებული პირები განისაზღვრებიან ინდივიდუალურ საგნებად დაყოფილი შესაბამისი ფართების მესაკუთრეებად. ამასთან, დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება მოიცავს ,,ა“, ,,ბ“,,გ“, ,,დ“ ბლოკებს;
- არსებული ფაქტობრივი მდგომარეობით, ,,დ“ ბლოკი აშენებულია, სადაც ცხოვრობს 60 ოჯახი.საცხოვრებელი სახლი არ აკმაყოფილებს შენობა-ნაგებობის თანამედროვე სტანდარტებს და უსაფრთხოების ნორმების მოთხოვნებს. რის გამოც დაინტერესებული პირები გეგმავენ მის დემონტაჟს,საცხოვრებელ სახლში მცხოვრები 60 ოჯახის დაკმაყოფილებას ,,ა“,,ბ“,,გ“ - ბლოკების ფარგლებში და შენობა-ნაგებობის ნაცვლად სარეკრეაციო სივრცის მოწყობას. გასაცემია 4850 კვ.მ., მათ შორის, დაზარალებულთა ნაწილისთვის გადასაცემია გარემონტებული ბინები. „დ“ ბლოკის დემონტაჟი მოხდება ადგილობრივი მაცხოვრებლების ,,ა“ და ,,ბ“ ბლოკის ფარგლებში ბინებით უზრუნველყოფის შემდეგ;

ლევან ჟორჟოლიანმა ჩამოთავალა დაინტერესებული პირების - შპს „დაკიდებული ბაღები“ და შპს ,,გელოვანი“ მიერ, **დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის მოთხოვნილი ხელშემწყობი ღონისძიებები:**

- კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმებას და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება კ2- 6.7; კ-2

კოეფიციენტის და რაოდენობის გაანგარიშება ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წესების“ შესაბამისად;

- „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების ზოგიერთ დებულებასთან დაკავშირებით შეღავათებს. კერძოდ, საპროექტო წინადადების ფარგლებში სამშენებლო ობიექტზე მშენებლობის ნებართვის გაცემისას არ იქნას გათვალისწინებული:
- საცხოვრებელ ბინებში, კომერციულ და საოფისე ფართებში ავტოსაშხეფი სისტემების, კვამლის და ცეცხლის აღმომჩენი დეტექტორები; შენობების სიმაღლის განმსაზღვრელი მოქმედი ნორმები; სატრანსპორტო გადაწყვეტის ზეგავლენის შეფასება არსებულ საკვლევ საგზაო ინფრასტრუქტურაზე; სახანძრო უსაფრთხოების ნორმებიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში, ე.წ კოშკის ნაწილში 25 სართულს ზემოთ, არსებული არქიტექტურული კონფიგურაციიდან გამომდინარე, დაინტერესებული პირები ვერ ითვალისწინებენ ორ გასასვლელს;
- საჭიროების შემთხვევაში, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას მიჯნის ზონის დაუცველად;
- ვინაიდან წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით IRR არ აღემატება 22%-ს, პროექტის რისკი იზრდება და ძვირდება პოტენციური შემოსავლის მიღების დაბლოკვით. ფართების გასხვისების აკრძალვების ნაწილში, ყოველ 7 სართულის აშენების შემდეგ ინვესტორს ქონდეს შემდგომი ოთხი სართულის განკარგვის შესაძლებლობა;
- არსებულ მიწის ნაკვეთზე მწვანე ნარგავებთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტაციის, გამწვანების პროექტის წარმოდგენის და საკომპენსაციო ღონისძიებების ვალდებულებებისაგან გათავისუფლება.

კომისიის თავმჯომარემ შემაჯამებელი სახით აღნიშნა, რომ ე.წ. ცენტრპოინტის საქმეში დაზარალებულია უამრავი პირი, რომელთაც წლების განმავლობაში არ მიეცათ საშუალება მათთვის განკუთვნილი ფართები გადაცემოდათ საკუთრებაში. აღნიშნული პრობლემის მოგვარების მცდელობა, სხვადასხვა უწყებების, ორგანოებისა და დეველოპერების ჩართულობითაც მიმდინარეობდა, თუმცა ამ ეტაპისათვის ვერ მოხერხდა დაზარალებული პირებისათვის სასურველი შედეგის დადგომა. აღნიშნულ საქმეში, მათ შორის გამოიკვეთა, რომ შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფს“ და მასთან აფელირებულ კომპანიებს, გარდა ფართების სახით გადასაცემი ვალდებულებებისა, აქვთ სხვა ფინანსური ვალდებულებებიც (რომლებზეც გარკვეულწილად აქვთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია), რასთან დაკავშირებითაც აღნიშნავენ, რომ თუ ვერ მოხდება ამ ვალდებულებების გასტუმრებაც, მათი მხრიდან ამ პრობლემის მოგვარებაში მონაწილეობას ვერ ექნება არსებითი მნიშვნელობა.

მომხსენებელმა დაამატა, რომ **ე.წ. ცენტრპოინტის საქმეში დაზარალებულია უამრავი კეთილსინდისიერი პირის არსებობისა და ძალიან მაღალი** საზოგადოებრივი **და სახელმწიფოებრივი ინტერესის** გათვალისწინებით, **კომისიამ** დადებითი **რეკომენდაცია**

გაუწია, ქალაქ თბილისის მთავრობას, მისამართზე - ქ. თბილისი, იასამნის ქ. N4 (ს/კ N01.10.11.001.116) არსებული სამშენებლო ობიექტის მიმართ გამოყენებულ იქნეს დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებები, ხოლო, ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა შემდეგი ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენება და საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა:

- ა) შეთანხმდეს კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმა და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვროს - 6.5-ით;
- ბ) შეთანხმდეს არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების და მიჯნის ზონის დაუცველად;
- გ) ავტოსადგომების რაოდენობის გაანგარიშება მოხდეს ,,ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წესების" შესაბამისად;
- დ) განმცხადებლების სურვილის გათვალისწინებით, ასევე მისაღები პრეფერენციების საკომპენსაციოდ, არქიტექტურული პროექტი დამუშავდეს „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების გათვალისწინებით, გარდა საცხოვრებელ ბინებში ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობისა;
- ე) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს საგზაო ინფრასტრუქტურაზე სატრანსპორტო გადაწყვეტის ზეგავლენის შეფასების გარეშე;
- ვ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს არსებულ მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით შესაბამისი დოკუმენტაციისა და გამწვანების პროექტის წარმოდგენის, ასევე, საკომპენსაციო ღონისძიებების ვალდებულებისგან გათავისუფლებით;
- ზ) დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2020 წლის 7 დეკემბრის N10 სხდომის ოქმში აღნიშნული ფინანსური ვალდებულებების შესრულება შპს ,,დოკის" და შპს ,,შაკო-92"-ის მიმართ განხორციელდეს შპს ,,დაკიდებულ ბაღებსა" და შპს ,,გელოვანს" შორის შორის 2020 წლის 29 ოქტომბერს გაფორმებული მემორანდუმის შესაბამისად, შპს ,,დაკიდებული ბაღებისთვის" გადასაცემი ფართის ოდენობის ფარგლებში;
- თ) ქალაქ თბილისის პროკურატურის მიერ წარმოდგენილი, ამჟამინდელი მდგომარეობით, კლიენტთა სიის გარდა, სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში სხვა პირთა მიმართ ფართის ან ფულადი სახით გასაცემი ვალდებულებების დადასტურების შემთხვევაში, ვალდებულებები შესრულებულ იქნას შპს

,,დაკიდებულ ბაღებსა“ და შპს ,,გელოვანს“ შორის 2020 წლის 29 ოქტომბერს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, შპს „დაკიდებული ბაღებისათვის“ გადასაცემი ფართის ოდენობის ფარგლებში;

- ი) ქ. თბილისი, იასამნის ქ. N4 (ს/კ N01.10.11.001.116) არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისა და მისი ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველსაყოფად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე შპს ,,გელოვანი“- ს მიერ წარმოდგენილ იქნას „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ (OECD) წევრ ნებისმიერ ქვეყანაში ან/და საქართველოში ლიცენზირებული ბანკის მიერ გაცემული უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სასარგებლოდ, სამშენებლო ღირებულების ($16,276,500), 10%-ის - 1 627,650 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში - ოდენობით (გარანტიის გაცემის დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად). ამასთანავე, საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 4 თვით უნდა აღემატებოდეს შესაბამისი მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების ვადას;
- კ) იმ შემთხვევაში თუ შპს ,,გელოვანი“ დაარღვევს მშენებლობის ნებართვით განსაზღვრულ მშენებლობის გეგმა-გრაფიკს და სამშენებლო ვადებს მინიმუმ 3 თვით, მისამართზე - ქ. თბილისი, იასამნის ქ. N4 (ს/კ N01.10.11.001.116) არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისა და მისი ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველსაყოფად, უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია გამოთხოვილ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ. ამასთან, უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია გამოყენებულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით, შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების კლიენტთა/დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით;

ლევან ჟორჟოლიანმა ასევე დაამატა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობის შესაბამისი განკარგულებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს დაევალა, რომ მისამართზე - ქ. თბილისი, იასამნის ქ. N4 (ს/კ N01.10.11.001.116) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილების მიღებისა და ამ გადაწყვეტილების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, მოამზადოს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით შპს ,,გელოვანთან“ გააფორმოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე ხელშეკრულება შპს ,,გელოვანი“-ს მიერ წარმოსადგენი უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტიის შესახებ. ამასთანავე, საბანკო გარანტია შენახულ (ან დაცულ) იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა განკარგულების პროექტთან დაკავშირებული **შენიშვნების შესახებ და მიზანშეწონილად მიიჩნია,** პროექტის პრეამბულაში ქალაქ თბილისის მთავრობის 2020 წლის 7 დეკემბრის განკარგულების ნომრის სწორი ფორმით მითითება და შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება, ასევე, განკარგულების პროექტის მე-2 მუხლის ტექნიკური თვალსაზრისით გამართულობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **მერიის ჯანდაცვისა** და სოციალური **მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

როგორც წარმოდგენილი დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათიდან ირკვევა, წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-9 დადგენილებაში, კერძოდ, აღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის „3“ ქვეპუნქტით დამტკიცებული **„უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში“ (კოდი: 06 02 06 03) ქვეპროგრამის ფარგლებში** სოციალურად **დაუცველი მოსწავლეების საცურაო აუზებში სწავლების დაფინანსების წესის“** (დანართი №6) მე-11 მუხლს ემატება მე-6 და მე-7 პუნქტები, რომლის მიხედვითაც, ქვეპროგრამის განმახორციელებელი უფლებამოსილია 2020 წლის დეკემბერში, მიმწოდებლის სტატუსის მქონე დაწესებულებებზე, ქვეპროგრამის ფარგლებში დასაქმებული პირების შრომითი ანაზღაურების გაცემისათვის ავანსის სახით, გასცეს 2020 წლის ნოემბერში, როგორც ასანაზღაურებელი შემთხვევების ფულადი ოდენობის 100 %.

ამასთან, 2020 წლის დეკემბერში ავანსის სახით მიღებული თანხის მოცულობის შესაბამისად, ქვეპროგრამის მიმწოდებელი ვალდებულია, ქვეპროგრამის მოსარგებლეებს გაუწიოს წესით გათვალისწინებული მომსახურება, ქვეპროგრამის განმახორციელებელთან შეთანხმებით.

დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით ზემოაღნიშნული ცვლილების მიზეზია დასაქმებულ პირებს შეუნარჩუნდეთ ხელფასი, მიუხედავად იმისა, რომ ახალი კორონა ვირუსის პანდემიის გავრცელების გამო, ქვეპროგრამის მიმწოდებელი დაწესებულებები ვერ ახერხებენ მომსახურების გაწევას.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი თამთა კაკოიშვილი